

იაგო ბ. ქეზურია

განლევა

(ფსიქოლოგიური დრამა ერთ მოქმედებად და ექვს სურათად)

მოქმედი პირნი:

დიეგო — ცნობილი პიანისტი, 33 წლის

ჯუზეპე — დიეგოს მეგობარი, ექიმი, 35 წლის

დოროთეა — დიეგოს უფროსი და, 40 წლის

სიმონეტა — დიეგოს ძველი მეგობარი, 34 წლის

დამლაგებელი, 37 წლის

მოქმედება მიმდინარეობს დიეგოს სახლში, კონკრეტულად კი მისადებ ოთახში. კუთხეში შავი როიალი დგას, როიალზე უწესრიგოდ აწყვია ნოტები, ქალაქები, ფანქრები; პიუპიტრის მარცხნივ სანათი დგას. მეორე კედელთან რამდენიმე სავარძელი დევს, სავარძლის წინ ე.წ. ჟურნალის მაგიდა. როიალის გვერდითაც პატრა სავარძელი დგას. როიალს რბილი, უზურგო სკამი აქვს მიდგმული. კედელზე ჩამოკიდებულია წიგნებით გამოტენილი თარო.

სურათი პირველი

ოთახი მკრთალი შუქითაა განათებული. დიეგო როიალთან ზის. იდაყვები როიალზე უდევს, ხოლო თავი კი იდაყვებში აქვს ჩარგული, კედლისკენ იყურება. ღამის სამი საათია. დიეგოს აცვია: კლასიკური შავი შარვალი; შავი როლინგი; შავი პიჯაკი; ტყავის შავი ე.წ. ტუფლი.

დიეგო *(უცრად წამოხტება, იღებს ტელეფონს და რეკავს):* ჯუზეპე, სასწრაფოდ... სასწრაფოდ მოდი...

ყურმილს კიდებს. სიგარეტს გაუკიდებს. ბოლთას სცემს, ნერვიულად დადის აქეთ-იქით. ნახევრადმოწეულ სიგარეტს მთელი ძალით ჩაჭყლეტს საფერფლეში და კვლავ როიალს მიუჯდება. კარზე აკაკუნებენ. დიეგო არ იძვრის. ისევ აკაკუნებენ. მერე კი კარს თავისით აღებს და შემოდის ღამის პიჟამოიანი ჯუზეპე, ხელში წნევის აპარატი უჭირავს, თმები აბურღული აქვს.

ჯუზეპე: შენთვის ჯობს კვდებოდე! წინააღმდეგ შემთხვევაში მე მოგკლავ! მეძინა!

დიეგო უძრავად ზის. ჯუზეპე მძიმედ ჯდება სავარძელში. დიეგო წამოდგება და საქალაქის უღებს მაგიდაზე.

დიეგო: ნახე...

ჯუზეპე: ეს რა არის? ჰმ... სათვალე დამავიწყდა, მათხოვე.

დიეგო პიჯაკის ჯიბიდან სათვალეს იღებს და აწვდის ჯუზეპეს.

დღევანდელია?

დიეგო დუმს. აქეთ-იქით დადის. შიგადაშიგ მარჯვენა ხელისკენ გააპარებს მზერას. ჯუზეპე დაკვირვებით ეცნობა საქალაქის. გახედავს რენტგენის სურათებს.

დიეგო *(ჩამწყდარი, შიშნარევი ხმით):* რას იტყვი?

ჯუზეპე: საქმე ძალიან რთულადაა... როგორ გითხრა, აი... მოკლედ... ართრიტი არ არის...

დიეგო: ანუ?

ჯუზეპე: უფრო რთულადაა საქმე...

დიეგო: ანუ?

ჯუზეპე: რენტგენზე ნაკლებად სჩანს, კვლევებში კი...

დიეგო *(აწყვეტილებს):* ანუ?

ჯუზეპე: კუნთების ამიოტროფული ლატერალური სკლეროზი... ანუ ატროფია...

პაუზა.

დიეგო: არ მინდა ტერმინებით თამაში, გასაგებად მითხარი. რამ გამოიწვია, რას გამოიწვევს... ყველაფერი მითხარი, დაწვრილებით!

ჯუზეპე *(სევდანარევი ხმით):* დიეგო, კარგად გიცნობ, ვიცი, რომ არ გიყვარს მიხვეულ-მოხვეული ლაპარაკი, ამიტომ პირდაპირ გეტყვი: კუნთების განლევა გაქვს. ანუ, უფუნქციო გახდება და განილევა კუნთოვანი

მასა... მაგრამ... აი, ხომ გესმის... მოკლედ... ძალიან იშვიათი დავადებაა, გამომწვევი მიზეზების დადგენა თითქმის შეუძლებელია. ძირითადად უმოძრაობა იწვევს, მაგრამ შენ შემთხვევაში არ ვიცი რამ გამოწვია. გამომწვევ მიზეზად შეიძლება სტრესიც ჩაითვალოს... მოკლედ, იშვიათია... ნუ ღელავ, მკურნალობას ვერ... *(ჩუმდება. რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ აგრძელებს)*. ჰო, კუნთების აღდგენა თითქმის შეუძლებელია, შეუძლებელია ავდმყოფობის სრულად ანულირება, განკურნება, მაგრამ შენელება შესაძლებელია...

დიეგო *(როიალთან დგას)*: რამდენი?

ჯუზეპე: არ ვიცი... ალბათ 3, ან 4 თვე, შეიძლება ნახევარი წელიც.

დიეგო: მერე?

ჯუზეპე *(თავდახრილი ზის)*: კუნთები განილევა-მეთქი...

დიეგო: ჰოდა, განმკურნე!

ჯუზეპე *(დგება)*: როგორ გითხრა, აი...

დიეგო *(აწყვეტინებს)*: არ მითხრა, განმკურნე!

ჯუზეპე: არ შემიძლია...

დიეგო: შეგიძლია...

ჯუზეპე: ხომ გითხარი, არ იკურნება. *(ვარდება სავარძელში)*.

დიეგო *(მწარედ იცინის)*: ნახევარი წელი? ამ დროის განმავლობაში თავს ვერ მოვაბეზრებ მსმენელებს... ჯუზეპე, შენ შეგიძლია...

ჯუზეპე: არ შემიძლია...

დიეგო *(აწყვეტინებს)*: ანუ, ასეთი განაჩენი გამომიტანე?

ჯუზეპე: ეს განაჩენი არაა.

დიეგო: აბა რა ჯანდაბაა?

ჯუზეპე: დიაგნოზი განაჩენი არ არის!

დიეგო: ურთიერთგამომრიცხავი ხარ! ამბობ არ იკურნებაო და მერე ამატებ, რომ ეს განაჩენი არ არისო! დამცინი? გეკითხები, დამცინი? არ მინდა ლოზუნგებით საუბარი *(ირონიულად)*. „დიაგნოზი განაჩენი არ არის“. დიახაც რომ არის! *(ყვირის)*. არის!

ჯუზეპე: ეს ცხოვრებაა!

დიეგო: ცხოვრება?

ჯუზეპე: დიახ, ცხოვრებაა!

დიეგო: ჰმ... შეუძლებელია... *(გაყინული სახით)*. ასე არ შეგიძლია მომექცე...

ჯუზეპე: თუ იმკურნალებ არ მოკვდები, შეიძლება დიდხანს იცოცხო, მაგრამ... მაგრამ...

დიეგო: რა „მაგრამ“?

ჯუზეპე: ვერ დაუკრავ.

დიეგო *(ბოლო ხმაზე იცინის):* ვერ დავუკრავ? ანუ, ვიცოცხლებ, მაგრამ ვერ დავუკრავ? *(იცინის).* ჯუზეპე, როგორი გულმონწყალე ხარ! ვერ დავუკრავ, არა? დამცინი? ჰო, ნამდვილად დამცინი...

ჯუზეპე: რა გჭირს, რა დაგემართა?

დიეგო: მეკითხები კიდევაც?

ჯუზეპე: ჰო, გეკითხები! *(დგება).* შენი სახელი მსოფლიომ იცის, უკვე გალიარეს გენიოსად! საკმარისია! ახლა დროა დაისვენო... ჰო, რაც დასაკრავი იყო დაუკარი. საკმარისია, გესმის? ვერ დაუკრავ, მაგრამ იცოცხლებ! ამაზე მეტი რა გინდა? იცი, ხალხი ყველაფერს თმობს, ოღონდ იცოცხლონ! შენ კი... მოკლედ, როცა გადაწყვეტ, რომ იცოცხლო, დამირეკე და მკურნალობის კურსს დაგინიშნავთ! ახლა კი წავალ და შუა ღამით ნუ დამირეკავ! ერთადერთი, შეგიძლია მაშინ დამირეკო, თუ მკურნალობას გადაწყვეტ!

დიეგო: ძალიან მკაცრი და უსამართლო ხარ...

ჯუზეპე: ამას შენ ამბობ? შენ? ჰმ...

დიეგო: ჰო, მე ვამბობ! რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს, თუ ვერ დაუკარი... მე ვარ მუსიკა...

ჯუზეპე: დაწეკი და დაიძინე, დაისვენე, ხვალ გამოგივლი. *(გადის).*

პაუზა.

დიეგო *(გაყინული სახით დგას, ხელებს უყურებს):* რატომ? რატომ აღარ გესმის ჩემი? რატომ არ მემორჩილები? რატომ? *(ყვირის).* რატომ? ნუთუ ასე მთავრდება ყველაფერი? ასე ერთბაშად და უცერემონიოდ? *(ხელებს უყურებს).* რატომ გამწირეთ? ხომ შემპირდით გიერთგულუბნით?! ჰა?! სად წავიდა თქვენი ფიცი? თუ მატყუებდით? თქვენც იცით ტყუილი? დამცინით? მე, მსოფლიოს საუკეთესო პიანისტმა, ასე უნდა დავასულო მოღვაწეობა? *(ხელს აცახცახებს. წიგნის თაროზე შემოდგმულ ვისკს გადმოიღებს და დაისხამს).* არასდროს დამილევია. არასდროს მიმიღია სამსალა. ჩემი თრობის წყარო ჩემივე თითები იყო. თითები, რომლებიც აცოცხლებდნენ მიწადქვეულ კომპოზიტორებს! ახლა კი... რა დარჩება ჩემგან მუსიკის გარეშე? ბუტაფორული ნიავი? *(მწარედ იცინის. გადაკრავს ვისკს; კვლავ დაისხამს. ნელი ნაბიჯებით უახოვდება როიალს. ჯდება).* გიყურებ... შენც მიყურებ... ვერ გცნობ... შენც ვერ მცნობ... არადა ჩვენ ერთმანეთზე ვიყავით დაქორწინებულები... არა! ჩვენ ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგვაშორებს! *(ხელებს უყურებს).* რატომ? რატომ გადაწყვიტე, რომ მილალატო? რატომ გადაწყვიტე, რომ დამცინო? რატომ? *(მცირე პაუზის შემდეგ კვლავ როიალს ესაუბრება).* შენ შემოგწირე მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება! შენით თენდებოდა და შენით ღამდებოდა! შენ იყავი და ხარ ჩემი ერთადერთი მეგობარი! მხოლოდ შენ გახსოვს ჩემი გულწრფელი სიცილი, ცრემლები, ოფლი, სისხლი! მხოლოდ შენთან ვიყავი და ვარ გულწრფელი! არასდროს დამიძალია შენთვის არაფერი! ახლა კი, ცხოვრებადწოდებულ დიაგნოზს უნდა ჩვენი დაშორება? არა! არა კი არა ვერა! ვერ შეძლებს! არ გამოუვა! გესმის, კარგო? არ გამოუვა! მე შენ ყოველთვის მეყვარები, ვიცი, რომ შენც გეყვარები, კარგო! *(ხელებს დახედავს).* ღალატს არასდროს გაპატიებ! ან იქნებ ცდება ჯუზეპე, ამ შუა ღამისას იქნებ ვერ დაინახა კარგად? *(ყვირის).* არა! *(დაკვრას იწყებს, რამდენიმე წამში ხელში დაღლას იგრძნობს და შეცდომით უკრავს, სხვა კლავიშებზე აჭერს ხელს. სახე ელრიჯება. მთელი ძალით დაარტყმას კლავიშზე მუშტს და უსმენს „ახმაურებულ“ სიჩუმეს. წამოდგება და სავარძელზე დაემხოება).*

ოთახი ბნელდება.

სურათი მეორე

დიეგო კვლავ სავარძელზე წევს. კარზე აკაკუნებენ. დიეგო ადგილიდან არ იძვრის. კვლავ აკაკუნებენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ძლივსძლივსლაობით წამოდგება, ხელს ალმაცერად დახედავს და კარისენ წავა. ღრმად ჩაისუნთქავს და კარს გააღებს.

დიეგო: გისმენთ.

დოროთეა: ვერ მიცანი?

დიეგო: ვალდებული ვარ?

დოროთეა: ალბათ... (შემოდის და დიეგოს ეხვევა). დიეგო... ჩემო ბიჭო...

დიეგო: დოროთეა, შენ ხარ?

დოროთეა: ჰო, მე ვარ, მე...

დიეგო განეშორება დოროთეას. თვალებით ანიშნებს სავარძლსკენ.

დიეგო: რამ მოგაფიქრა აქ მოსვლა?

დოროთეა (გაკვირვებულად): ჰო, ვიცი ჩემი ნახვა დიდად არ გაგახარებდა, მაგრამ რადგან აქ ვიყავი, თავს უფლება არ მივეცი, რომ არ მენახე და მოვედი. (სავარძელში ჯდება). გუშინ დედას გარდაცვალებიდან 15 წელი გავიდა. მეგონა შენც მოხვიდოდი საფლავზე და იქ გნახავდი, მაგრამ... ჰოდა, ამიტომ მოვედი შენთან. დედას დაკრძალვის მერე არც მინახავხარ, ტელეფონსა და ტელევიზორს თუ არ ჩავთვლით. ასევე... (დადუმდება). როგორ ხარ?

დიეგო: გმადლობ, კარგად.

დოროთეა: მეც კარგად ვარ, სხვათა შორის... ცოტათი გაფითრებული მეჩვენები.

დიეგო: მართალია, გეჩვენები... (სავარძელში ჯდება. სიგარეტს გაუკიდებს).

დოროთეა: სიმართლე რომ გითხრა, ძალიან მომენატრე. მიყვარხარ, ჩემო ბიჭო.

დიეგო: ამის სათქმელად შემოიარე?

დოროთეა: ჰო!

დიეგო: გუშინ სად იყავი?

დოროთეა: სასტუმროში.

პაუზა.

დიეგო: როდის მიდიხარ?

დოროთეა: ხვალ... ნუ ღელავ, შენ არ შეგაწუხებ, სასტუმროში ვრჩები.

დიეგო: კეთილი...

დოროთეა: იქნებ შენც გეკითხა როგორ ვარ?

დიეგო: ვხედავ, რომ კარგად ხარ.

დოროთეა: ისევ ისეთი ხარ, სულ არ შეცვლილხარ, დიეგო, გულქვა, ცივი, უხეში და... და...

დიეგო *(აწყვეტინებს):* სხვთა შორის, შენც არ შეცვლილხარ. ისევ ისეთი ხარ, მენტორული და...

დოროთეა: რამდენს გწერ, შენ კი არც კი მპასუხობ... არასდროს გიყვარდი, დიეგო. საკუთარ თავზე იყავი შეყვარებული... ვხედავ, დღემდე ასე გრძლედება... საერთოდ არავინ გიყვარს... არა, სიყვარულს ვერავინ დაგამალებს, მაგრამ... დიეგო... ძალიან მიყვარხარ და შენი სახელის წარმოთქმისას გულში სამსჭვალე მემსჭვალე, თითქოს... რა დაგემართა? ნუთუ გული საერთოდ არ გაქვს? გიყურებ და... მეცოდები...

დიეგო: მე არავის შეცოდება არ მჭირდება, გესმის? *(გაცეცხლებულივით წამოვარდება).* გესმის, დოროთეა? არავის სიბრაღული არ მჭირდება! მე მე ვარ! გესმის? შენ კი შენ! გესმის?

დოროთეა: არც ასეთი გაცეცხლებული მინახავხარ არასდროს. *(წამოდგება).* ჩემო ბიჭო, სიმარტოვემ დაგიმარტოხელა და... ჰო, სიმართლე არ გეწყინოს, არავინ გიყვარს და ამიტომაც ხარ შესაბრალისი... არც დედა გიყვარდა. მამას საერთოდ ვერ იტანდი, დაკრძალვაზეც კი არ ჩამოხვედი! მე კი არათუ არ გიყვარვარ, გეზიზღებოდი და დღემდე ასეა! ჩუ, ნურაფერს ნუ მეტყვი, ჩემო ბიჭო, მე მთელი ჩემი არსებით მიყვარხარ, საკუთარ შვილებზე მეტადაც კი, იმიტომ, რომ ჩემი გაზრდილი ხარ! გესმის? 7 წლის ვიყავი, როდესაც დაიბადე. შენმა დაბადებამ ჩემი მართოსული და ვერგაფერადებული სამყარო გააფერადა, ახალი აზრი მისცა! გესმის, ჩემო ბიჭო? ვერც გიბრაზდები, იმიტომ რომ ძალიან მიყვარხარ, ძალიან! ყველაზე და ყველაფერზე მეტად! *(უახლოვდება დიეგოს და თავზე ეფერება).* ჩემო ბიჭო... ჩემო... არ ვიცი, მართლა არ ვიცი რა დაგემართა, რატომ გეზიზღება ყველა და ყველაფერი. მხოლოდ საკუთარი თავი და მუსიკა გიყვარს... განა არ ვიცი გენიოსი რომ ხარ? ვიცი, ვიცი! მაგრამ ერთი რამ არ მესმინს, ნუთუ შეიძლება შენნაირმა გულქვა ადამიანმა ასე გაასულიეროს მუსიკა? როგორ გამოგდის? თუ შენში სიყვარული არ არის, როგორ შეგიძლია? მართლა ძალიან მიკვირს... სად მალავ ემოციათა იმ მორევს, რომელსაც მუსიკაში შობ ხოლმე... ჩემო...

დიეგო *(წამოხტება, კედელთან დგება):* გაჩუმდი! გაჩუმდი! გთხოვ, გაჩუმდი! საკმარისია!

დოროთეა: ეს მე უნდა მძულდეს ყველა და ყველაფერი! *(გაცეცხლებება).* შენი დაბადების შემდეგ საერთოდ გავქრი, თითქოს! ვერც დედა მამჩნევდა და ვერც მამა! ყველა შენზე ლაპარაკობდა! როცა წამოიზარდე და მუსიკაზე შეგიყვანეს, პირველსავე დღეს გადაწყვიტეს, რომ გენიოსი ხარ! შენი გაგენიოსობის შემდეგ საერთოდაც მივმქრალდი! თითქოს საერთოდ გავქრი! მწყინდა! ძალიან ვბრაზობდი! ჰო, გესმის, ბიჭო, ვბრაზობდი, მაგრამ არ გავბოროტებულვარ! უფრო მეტად მიყვარდებოდი! შენს წარმატებაში ჩემს წვლილსაც ვხედავდი და ეს მყოფნიდა გასახარად! შენ კი? საერთოდ რა ადმიანი ხარ? ჰა? 15 წელია არ მოგიკითხივარ არც მე, არც შენი დისშვილები! *(სავარძელზე ჩამოჯდება. მძიმედ სუნთქავს. დუმს).*

დიეგო *(დაბალი ხმით):* დისშვილები? ორი გყავს?

დოროთეა *(ირონიულად იცინის):* ეგეც არ იცი, არა? ჰო, ორი შვილი მყავს.

პაუზა.

დიეგო, როგორი უცნაური ადამიანი ხარ. საუთარ ნაჭუჭში ხარ ჩაკეტილი და ამითი ტკბები. კონცერტებსაც იშვიათად მართავ, თითქოს არავისთვის გემეტება საკუთარი თავი... არ ვიცი ვის დაემსგავსე... დედა ასეთი არ იყო. არც მამა, რომლის სიკვდილმაც დიდი სიხარული მოგგვარა. *(მცირე პაუზა).* ამასწინად, ჩემმა უმცროსმა შვილმა მკითხა: დედა, შენ არ გყავსო ძმა ან და? რა მეპასუხა? გეკითხები, რა უნდა მეპასუხა? კარგად იცი, ტყული არ მიყვარს. კი-მეთქი. მკვდარიყო? არა-მეთქი. აბა, რატომ არ მოსულაო ჩვენთან არასდროს, ან ჩვენ რატომ არ მივდივართო მასთან... გესმის? მეორე ოთახში გავედი და ცხარე ცრემლებით ვიტირე!

დიეგო: რას ვიზამთ, ასეა... *(სავარძელში ჯდება და სიგარეტს გაუკიდებს).* მაინცა და მაინც არც შენ ხარ ისეთი ანგელოზი, დოროთეა, როგორადაც თავი წარმოგიდგენია!

დოროთეა: არაფერიც არ წარმომიდგენია! ძალიან მეცოდები...

დიეგო (*ყვირის*): ნუ გამაგონებ ამ სიტყვას!

დოროთეა: ძალიან ამაყი ხარ! დაცემულად ამაყი!

დიეგო: მე ვარ მუსიკა, გესმის?

დოროთეა: მეცოდები...

დიეგო: შეგიძლია წახვიდე! შეგიძლია 15 წლის მერე ისევ მინახულო და ჭკუა დამარიგო!

დოროთეა: წავალ, წავალ... (*ხმაჩამწყდარივით*). აბა აქ კი არ დავრჩები... ჭკუას არ გარიგებ, იმ მარტივი მიზეზიდან გამომდინარე, რომ არანაირი აზრი არ აქვს... მე ისედაც ვიცი, რომ ჩემს სახლში 15 წელია არავინ მელოდება... (*მცირე პაუზა*). ერთი თხოვნა მაქვს, ლუკა თან მახლავს, სასტუმროშია ახლა, შეგიძლია მოუსმინო?

დიეგო: ლუკა ვინაა?

დოროთეა: შენი დისშვილი... ჩემი უფროსი შვილი, დიეგო...

დიეგო: რა უნდა ვქნა?

დოროთეა: კონსერვატორიაში სწავლობს, ბიძამისის გენმა იფეთქა, პიანისტია... მოუსმინე, გთხოვ...

დიეგო: პირველ რიგში, მე ნუ მადრი! მეორეც, არ მაქვს სურვილი ვინმეს ჩხაკუნს ვუსმინო!

დოროთეა: მადლობა... ჯერ არც კი მოგისმენია და „ჩხაკუნსო“ ამბობ...

დიეგო: მოსმენის გარეშეც წარმომიდგენია...

კარზე აკაკუნებენ. დიეგო ალებს კარს. შემოდის ჯუზეპე.

ჯუზეპე (*გაკვირვებულად გახარებული*): ო, დოროთეა, ჩემო მეგობარო! (*ეხუტება დოროთეას*). როგორ ხარ?

დოროთეა: არამიშავს, ჩემო ძვირფასო! ძალიან გამიხარდა შენი ნახვა. მინდოდა მენახულეხინე.

ჯუზეპე: რომელმა ქარმა გადმოგადო?

დიეგო ანიშნებს ჯუზეპეს, რომ ავადმყოფობის შესახებ არაფერი უთხრას.

დოროთეა: რაღაც საქმე მქონდა და გამოვუარე ძმას!..

ჯუზეპე: ძალიან კარგი. როგორ დამშვენებულხარ. (*ორივენი სავარძლებში ჩასხდებიან*). მეუღლე როგორ გყავს? ბავშვები? უფროსმა სკოლა დაამთავრა?

დოროთეა: რა ყურადღებიანი ხარ. მადლობა, კარგად არიან. უფროსი კონსერვატორიაში სწავლობს, პიანისტია.

ჯუზეპე: ნეტავ ვის ჰგავს? (*ჩაიცინა*).

დოროთეა: შენ ის მითხარი, ცოლი მოიყვანე?

ჯუზეპე: კი. სამედიცინოზე ვსწავლობდით ერთად. ძალიან კარგი გოგოა. ახლა კონფერენციაზეა წასული. შენს ძმას არადა არ მოყავს ცოლი. სახლიდან თითქმის არ გამოდის. ან კონცერტზეა, ან სახლში.

დოროთეა: სამწუხაროა...

დიეგო: არაფერი არაა სამწუხარო!

დოროთეა: დიეგო, შეიძლება ჩემს ძველ ოთახში ავიდე?

დიეგო: რა თქმა უნდა...

დოროთეა: არ მოიწყინო, ჯუზეპე, მალე ჩამოვალ. *(გადის)*.

დიეგო *(მივვარდება ჯუზეპეს):* არაფერი უთხრა! გესმის? არაფერი წამოგცდეს!

ჯუზეპე: რატომ? მის მეტი ვინ გყავს? უნდა იცოდეს... როდესაც მოვლა დაგჭირდება...

დიეგო *(აწყვეტინებს):* არ გაბედო! გესმის? აზრადაც არ გაივლო, რომ მე მოსავლელი ვიქნები! გესმის, ჯუზეპე? არ გაბედო! მე არავინ მნახავს დავრდომილს!

ჯუზეპე: რას გულისხმობ?

დიეგო: არაფერს! ხმა ჩაიწყვიტე! აზრადაც არ გაივლო! დადუმდი! არაფერი უთხრა! მე არ მჭირდება მისი მოვლა-პატრონობა! გესმის?

ჯუზეპე: რა უცნაური ადამიანი ხარ, მეგობარო... მკურნალობაზე რა გადაწყვიტე?

დიეგო: ვერ გავიგე, არ იკურნებაო და რა უნდა ვმკურნალო?

ჯუზეპე: მეხუმრები?

დიეგო: სულაც არა.

შემოდის დოროთეა, ხელში ალბომი უჭირავს.

დოროთეა: დიეგო, ამ ალბომს წავიღებ, კარგი?

დიეგო: კარგი... მიდიხარ უკვე?

დოროთეა: ჯერ არა.

ჯუზეპე: მეგობრებო, თქვენდამი დიდი სიყვარული კი მაქვს, მაგრამ კლინიკაში უნდა წავიდე. *(კოცნის და ეხვევა დოროთეას)*. აბა, წარმატებები, ჩემო ძვირფასო მეგობარო. დიეგო, აბა შენ იცი, გამოგივლი კიდეც...

დოროთეა: კარგად იყავი, ჩემო კეთილო და გულისხმიერო ბიჭო.

ჯუზეპე გადის.

აი, ნამდვილი ადამიანი! *(მოკლე პაუზა)*. რაღაც დაფეთებული მეჩვენები, დიეგო, რა ხდება? ფერმკრთალი ხარ... სმა დაიწყე?

დიეგო: არა...

დოროთეა: ეს ბოთლები, ჭიქა და შენი სახე სხვა რამეს მეუბნებიან.

დიეგო: არა-მეთქი! *(ზურგიით მიუჯდება როიალს)*.

დოროთეა: მაშინებ, დიეგო...

დიეგო: შენი წარმოსახვაა.

დოროთეა: კიდეც ერთხელ გკითხავ, ლუკას მოუსმენ?

დიეგო: არა!

დოროთეა: ცოტა დაფიქრდი მაინც, გულს მტკენ.

დიეგო: არ შემძლია! *(სიგარეტს გაუკიდებს. ღელავს).* არ შემძლია!

დოროთეა: გიჟდება შენზე... კედლებზე შენი აფიშები უკიდია... შენს ჩანაწერებს უსმენს... ჰო, რამდენჯერმე ვიყავით სხვადასხვა ქალაქში შენს კონცერტზე, მაგრამ არასდროს მოვსულვართ არც ავტოგრაფისთვის და არც სურათის გადასაღებად... მთხოვა მეტქვა, რომ ერთხელ მაინც მომისმინოსო... რა კაცი ხარ ამის შედეგ? *(ტირის).* არ ვაპირებ შენი ეგოს გამოკვებას, მეტს არაფერს გეტყვი, ერთი ის იცოდე: საკუთარ თავზე მეტად მიყვარდი, მიყვარხარ და მეყვარები, ჩემო ბიჭო! მეცოდები...

დიეგო *(ყვირილით წამოხტება):* ნუ ამბობ ამას! მე არავის შეცოდება არ მჭრდება! მე გენიოსი ვარ! მე ვარ მუსიკა! გესმის? და საერთოს, ჯობდა არ მოსულიყავი!

დოროთეა: მართალი ხარ... ჯობდა...

პაუზა.

დიეგო: სჯობს საკუთარი თავი შეიცოდო! *(მძიმედ სუნთქავს. ბოლთას სცემს).* ჰო, საკუთარი თავი შეიცოდე! რას დაემსგავსე? მთავარია, რომ სიყვარულით გათხოვდი? ბედნიერი ხარ? გეკითხები, შენი იდიოტი ქმრით ბედნიერი ხარ? ამაყი ხარ? გახსოვს, გემუდარებოდი, გთხოვდი, გიჩოქებდი, შენ შენი არჩიე და იმ არამზადას გაჰყევი! იმ... იმ... სიტყვებსაც ვერ ვპოულობ! ჰო, მძულხარ! მძულხარ! და ამის ბევრი მიზეზი მაქვს! მე მკიცხავ საკუთარი თავის გარდა არავისზე ფიქრობო, შენ ვიზე იფიქრე? მე შენ ბევრი წლის წინ მომიკვდი და ახლა ჩემი დის ბუტაფორული ლანდი ზის აქ, ჩემს წინ!

დოროთეა: მორჩი? რა სისულელეებს ამბობ, გესმის მაინც? არა, შენ არაფერი არ გესმის! ჩემს ქმართან ძალიან კარგი ურთიერთობა გქონდა, სანამ ის არ გათხოვდა, შენი... *(მცირე პაუზა).* ჰო, შენ დაკარგე ის... ამის მერე შეგპულდი მეც, ჩემი ქმარიც და ჩემი შვილებიც, რომლებსაც არც კი იცნობ! მოკლედ... შენ უმწეო ადამიანი ხარ და მეცოდები...

დიეგო *(ყვირის):* ნუ ამბობ ამას!

პაუზა.

დოროთეა: რა ვუთხრა ლუკას?

დიეგო: არაფერი! რა უნდა უთხრა? უთხარი, რომ დიეგოს ჩხაკუნის მოსასმენად არ სცალია-თქო! დაკავებული ვარ. ათასი საქმე მაქვს. კონცერტები, გასტროლები, ახალი რეპერტუარის შესწავლა და მთელი ამბები, ცოტა დრო დასვენებისთვისაც მჭირდება. და ჩემი ძალიან გადატვირთული გრაფიკი არ მაძლევს საშუალებას დრო დაგკარგო, მით უფო... *(მოკლე პაუზა).* დრო არ მაქვს... თავისმა პროფესორმა მოუსმინოს...

დოროთეა: მაძლობა... მე მაინც მიყვარხარ, ჩემო ბიჭო!.. გისურვებ შენში მცირედი სიყვარული მაინც დაიბადოს! *(ეხუტება, ხელებზე კოცნის და გადის).*

დიეგო გაქვავებული დგას. ხელები უცახცახებს. სახე ეღრიჯება. ცრემლი ჩამოსდის. მუხლებზე ეცემა და ხელებს უყურებს. უხმოდ ბღავის. ოთახი ბნელდება.

სურათი მესამე

ორი თვის შემდეგ.

დიეგო ზის როიალთან. სიგარეტს ეწევა. წელში ოდნავ მოხრილია, მარჯვენა ხელი ნახევრად ატროფირებული აქვს, მიკერებულივით ამოძრავებს. პიუპიტრზე ნოტები აწყვია. ოთახში არეულობაა. იატაკზე ყრია ქალაღებები, ბოთლები, სიგარეტის კოლოფები, ცხვირსახოცები. სიგარეტს ჩააქრობს. სათვალეს გაიკეთებს, ხელებს ერთმანეთში გადაზელს და დაკვრას შეუდგება. ვერ უკრავს. მარჯვენა ხელში ძალა არ აქვს. დიეგო არ ნებდება და აგრძელებს დაკვრას. უფრო და უფრო მეტ შეცდომებს უშვებს, ძალიან ჭუჭყიანი ბგერები ისმის. აყვირდება და მარცხენა ხელს დაუშენს კლავიშებს. რამდენიმე ხნის შემდეგ წამოდგება, ხელების დახმარებით სავარძლამდე ძლივს მივა და ზედ დაემხოზა. მძიმედ სუნთქავს, მარცხენა ხელით აიღებს მარჯვენას და გამწარებული თვალებით უყურებს.

დიეგო (თავისთვის): რატომ? ასე რატომ მამწარებ? უკვე სიარულიც მიჭირს. მარცხენა ხელში მცირედი ძალა მაქვს, მარჯვენაში კი საერთოდ არა! ღმერთო, ეს არის შენი სიდიადე? ეს ხარ შენ? ეს არის შენი სიყვარული და სიკეთე? მე ხომ წლების განმავლობაში შენთვის ვუკრავდი! მხოლოდ და მხოლოდ შენთვის! ასე მიხდი სამაგიეროს? წყეულიმც იყავ! იმისთვის გამაჩინე, რომ მერე ჩემი წამებით დამტკბარიყავი? ძალიან ბოროტი არსება ხარ! ადამიანების ტრაგედიებით იკვებები! თან თავსაც არ აჩენ, გეშინია, მშიშარა ხარ! ერთხელ გამოჩნდი და სრულიად სამართლანად გაგაკრეს ჯვარზე! ახლა კი იმალები და ტკბები იმით თუ როგორ ვეწამები! მარტო ჩემი წამებით კი არ ტკბები, ბავშვების სიკვდილითაც ტკბები! ომებს ხარ მოწყურებული და ხალხს ერთმანეთს ახოცინებ! ეს არის შენი სამართალი?! წყეულიმც იყავ! (ყვირის). წყეულიმც! (მარჯვენა ხელის მტევანს ათვალიერებს). მე, მსოფლიოს უდიდესი პიანისტი, უმუსიკოდ ვკვდები! განიძარცვა ჩემი არსება მუსიკისაგან! მის გარეშე არაფერი ვარ! საერთოდ არაფერი! არავინ და არაფერი! (ატირდება). წყეულიმც იყავ... გამეცი პასუხი, ეს არის შენი სიკეთე? შენი მართლმსაჯულება? (მცირე პაუზა). რატომ არ მპასუხობ? (ყვირის). გამეცი პასუხი, ღმერთო! სად იმალები! სად ხარ! თუ გძინავს და არ იცი რა ხდება ამ ქვეყნად? ჰა!

პაუზა. შემოდის ჯუზეპე.

ჯუზეპე: ეს რას დაგიმგვანებია აქაურობა? დღეს მოვა დამლაგებელი და დალაგებს.

დიეგო: არ მჭირდება დამლაგებელი, მე თვითონ დავალაგებ!

ჯუზეპე: სად მალავ ამ სასმელს? გალოთდი! საიდან მოგაქვს? მთელი სახლი დავათვალიერე და ვერსად ვიპოვე...

დიეგო: თავისით მოდის!

ჯუზეპე: აი, ეს გამომართვი და დალიე. (წამალს აწვდის). ტკივილსაც გაგიყურებს და დაძინებაში დაგეხმარება.

დიეგო (მწარედ იცინის): მერამდენედ მეუბნები ამას?

ჯუზეპე: ზუსტად იმდენჯერ, რამდენჯერაც შენ მპასუხობ სიცილით.

დიეგო: ნუ გამაცინებ... შენ გინდა თქვა, რომ ჩემი გამოცნობა შესაძლებელია?

ჯუზეპე: მე მინდა ვთქვა, რომ შენ ტკივილს თავადვე კვებავ.

პაუზა. ჯუზეპე ჯდება დიეგოს შორი-ახლოს, მეორე სავარძელში. დიეგო თავს გადასწევს ჯუზეპესაენ.

დიეგო (მშვიდად): გეცოდები?

ჯუზეპე: მე ექიმი ვარ, არ მაქვს შეცოდების უფლება.

დიეგო: და როგორც მეგობარი?

ჯუზეპე: მეგობარს მხოლოდ გულწრფელობის უფლება აქვს...

დიეგო: მაშინ, იყავი გულწრფელი!

ჯუზეპე: საკუთარ თავს შენ უფრო აწამებ, ვიდრე დაავადება!

დიეგო *(აღელვებულად):* მე არ მინდა გადავიქცე ხორცის პატარა ნაჭერად, რომელიც მხოლოდ იმიტომ ცოცხლობს, რომ ვიღაც მას კოვზით აჭმევს! გესმის? გესმის, ჯუზეპე? არ მინდა თოჯინად გადავიქცე! არ მინდა ვინმეს ვებრალებოდე! მსოფლიოს საუკეთესო დარბაზები ქუხდა, როდესაც სცენაზე გავდიოდი! ოკეანეებიც კი ტაშს მიკრავდენ! ზეადმართული მზის სხივები ჩემს ფერხთით ემხოზოდნენ! ახლა კი ვინ ვარ... არ მინდა ვინმეს ზურგზე ვაჯდე! გესმის? ხვდები მაინც რას გეუბნები?

ჯუზეპე *(მშვიდი ხმით):* შენ, სინამდვილეში ამის არ გეშინია!

დიეგო: ო, განმანათლე და მითხარი მაშინ, რისი მეშინია, ყოვლისმცოდნე!

ჯუზეპე: შენ, გაქრობის გეშინია...

პაუზა. განმგმირავი სიჩუმე. დიეგო სათვალეს იხსნის და პიჯაკში იდებს. ცხვირსახოციტ შუბლზე შეცვარულ ოფლს იწმენდს. მარჯვენა ხელს დახედავს, მერე ჯუზეპეს გადახედავს.

დიეგო: გაქრობის? არა, ჯუზეპე, არა! ადამიანები მაშინ ქრებიან, როდესაც აღარავის ემახსოვებიან. მე ყველას ვემახსოვრები!

ჯუზეპე: ჯერჯერობით.

დიეგო *(ჩაიციხინებს):* როგორი დიდი გულის პატრონი ხარ, მეგობარო!

ჯუზეპე: ჩემზე უკეთ იცი, რომ მეხსიერება მოკლეა...

პაუზა.

დიეგო *(თითქმის ჩურჩულით):* მე ღმერთი ვიყავი, ჯუზეპე, ღმერთი! როდესაც ჩემი თითები კლავიშებს ეხებოდნენ, მსმენელები ივიწყებდნენ ყველას და ყველაფერს, მათ გონებას, სულსა და გულს ჩემი ბგერა იტყვევებდა. ჩემს შესახებ მსოფლიოს წამყვანი კრიტიკოსები წერდნენ. ძალიან ბევრი შედარება დაუწერიათ, ბევრი ეპითეტით შევუმკვივართ, მაგრამ ერთი მომწონდა განსაკუთრებით. ჰო... ერთი... „დიეგოს ბგერა, ანუ სამყაროს შესაქმის მეტაფორა“... რა დიდებული ნათქვამია... გესმის, ჯუზეპე? აი ვინ ვარ მე! მე ვარ მუსიკა! მე ვაცოცხლებდი წლების წინ მიქვესკნელებულ და მიმქრალ კომპოზიტორებს! მე გადმომქონდა მათი სულები ამ საუკუნეში! მე ვიყავი შუამავალი საუკუნეებს შორის! მე ღმერთი ვიყავი! გესმის? ღმერთი! და შენ მეუბნები, რომ მეხსიერება მოკლეა? როდესაც მე დამივიწყებენ, ეს სამაყროს წარწყმენდის მანიშნებელი იქნება! ასტრონავტებმა ერთ-ერთ ახალ აღმოჩენილ მცირე პლანეტას ჩემი სახელი უწოდეს! მე ვარ ერთადერთი ცოცხალი მუსიკოსი, ვისი მარმამარილოს ქანდაკებაც გენიოსთა ხეივანში დადგეს, თანაც ლისტისა და პაგანინის შუაში! *(ემოციურად).* მე ვარ მუსიკა! გესმის? მე ვარ ღმერთი! ღმერთი, რომელიც პატარავდება! ღმერთი, რომელიც კვდება! მუსიკა, რომელიც კარგავს ღვთაებრივ ჰარმონიას და ჭუჭყიანდება! მუსიკა, რომელიც სიჩუმედ გარდაიქმნება! მე უსასტიკესი სიკვდილით ვკვდები! გესმის? სიცოცლემივე ვკვდები! ასეთი რამ გაგიგონია? სიცოცლემივე ვკვდები! *(თავს ზეცისკენ აღაპყრობს).* ო, წყეულიმც იყავ გულბოროტო! შეგშურდა ჩემი?

პაუზა. ჯუზეპე თანაგანცდით სავსე თვალებით უყურებს დიეგოს.

გესმის, ჯუზეპე? მსმენელებს ვატყვევებდი. ისინი დარბაზიდან გაკეთილშობილებულები გადიოდნენ! მე ღმერთი ვიყავი, ღმერთი!

ჯუზეპე: და გეშინია, რომ აწი ველარ გააკეთილშობილებ?

დიეგო: არა... *(მცირე პაუზა)*. მეშინია, რომ... მართალი ხარ... მეშინია, რომ დავავიწყდებით...

პაუზა. ჯუზეპე წამოდგება, ჭიქაში წყალს დაისხმას და დიეგოს მიაწვდის წამალს.

ჯუზეპე: დალიე.

დიეგო: გგონია ასე მარტივად დავნებდები?

ჯუზეპე: მე გგონია, რომ შენ უკვე დიდი ხნის წინ დანებდი, მაგრამ იმედად ამაყი ხარ, რომ ამის აღიარებაც არ შეგიძლია, დიეგო...

დიეგო გამხეცებულობით წამოვარდება და შებარბაცდება, ეს-ესაა უნდა წაიქცესო, ჯუზეპე მიეშველება და ხელს ჩაავლებს. კბილებს აკრაჭუნებს დიეგო და ჯუზეპეს წინააღმდეგობას უწევს.

დიეგო *(მკაცრად):* ხელი გამიშვი!

ჯუზეპე: დაჯექი...

ნელ-ნელა დაჯდება სავარძელზე. სახე მოჭმუხნული აქვს. თვალებიდან საკუთარი თავისადმი სიძულვილს აფრქვევს. მძმედ სუნთქავს. ძალიან ლეღავს.

დიეგო: შენ გგონია არ ვიცი რა მელოდება? მინახავს ადამიანები, რომლებიც არსებობენ, მაგრამ არ ცოცხლობენ. გესმის, ჯუზეპე? შენ ხომ ექიმი ხარ, რამდენი ასეთი ადამიანი გინახავს? რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი... შენ გინდა, რომ მე ვარსებობდე, მაგრამ არ ვიცოცხლო?

ჯუზეპე: მე მინდა, რომ ცოცხლობდე, მეგობარო!

დიეგო: მეტი თუ არ შემიძლია?

ჯუზეპე: შეგიძლია! წამლები მიიღე, კუნთებს სწრაფად განლევის უფლება არ მისცე!

დიეგო: ჯუზეპე... დავიღალე...

ჯუზეპე: ვიცი...

პაუზა.

დიეგო: სიგარეტი მომაწოდე, თუ შეგიძლია...

აწვდის სგარეტსა და საფერფლეს.

ჯუზეპე: ვიცი, რომ ამის გარეშე არ შეგიძლია, მაგრამ მოწევა მომაკვდინებელია, დიეგო...

დიეგო: კარგი...

ჯუზეპე: რა კარგი?

დიეგო: მაინც ვკვდები... *(უკიდებს სიგარეტს)*.

ჯუზეპე: დიეგო, ძალიან გთხოვ არ გაბრაზდე, რაღაც მინდა გითხრა...

დიეგო: ლექციას ნუ ჩამიტარებ.

ჯუზეპე: არა, სხვა რამ მინდა გითხრა...

დიეგო: გისმენ...

ჯუზეპე: ორიოდე თვის წინ დოროთეა რომ იყო ჩამოსული, აქ ხომ ვნახე? მერე მეორე დღესაც ვნახე, ლუკა გამაცნო, იცი რა კარგი ბიჭია? შენ გგავს... მითხრა დიეგომ არ მოუსმინაო... ბიჭს თვალეები ცრემლებით აევსო... რა იქნებოდა რომ მოგესმინა? ვიცი, რომ არ გიყვარს სხვების მოსმენა, მაგრამ ის ხომ შენი დისშვილია... რამდენიმე კონკურსის გამარჯვებული ყოფილა, ძალიან წარმატებული სტუდენტია...

დიეგო: არ მაინტერესებს! უნიჭო მამის შვილი არ შეიძლება იყოს ნიჭიერი!

ჯუზეპე: სისულელს ამბობ...

დიეგო: ვიცი... ჰო, ვიცი, მაგრამ არ მაინტერესებს...

ჯუზეპე: მშიშარა ხარ!

დიეგო: მშიშარა?

ჯუზეპე: ჰო! გულის სიღრმეში თავადაც იცი...

დიეგო: რისი მეშინია? ჩემზე ნიჭიერი ვერ იქნება!

ჯუზეპე: ეგ გასაგებია, მაგრამ შენ სხვა რამის გეშინია... ის უკრავს, შენ ვერ! ამის დანახვის გეშინია!

დიეგო: ნუ პროვოცირებ!

ჯუზეპე: სულაც არა! ჩახედე სიმართლეს თვალეებში! *(მცირე პაუზა)*. გთხოვ, მოუსმინე... ძალიან გთხოვ! ერთხელ მაინც! მხოლოდ ერთხელ... დიდი კონკურსისთვის ემზადება, პირველ კურსზეა, სჭირდება დახმარება! ნუ ხარ ბოროტი!

დიეგო: თავისი პროფესორი ხომ ჰყავს? ჰოდა, მან მოუსმინოს! მე არ ვარ ვალდებული...

ჯუზეპე: ვალდებული ხარ!

დიეგო *(აღტკინებით)*: მე არავის წინაშე არ ვარ ანგარიშვალდებული!

ჯუზეპე: ხარ! ღმერთის წინაშე ხარ ვალდებული! მან შთაგბერა სული! შენი დისშვილის წინაშედაც ვალდებული ხარ! არსებობს რაღაც ადამიანური ამ ქვეყნად, დიეგო!

დიეგო: ღმერთს ნუ ახსენებ! ის მკვლელია! გესმის? სული შთამბერა, რათა მოვეკალი? ჰო, ასეა! ის სასტიკია! ის მკვლელია! ის ადამიანების მკვლელობით ტკბება!

ჯუზეპე *(წამოვარდება)*: საკმარისია! საკმარისა, გეყოფა! იოანე, თავი მეცხრე, მეორე და მესამე მუხლები: „და შეეკითხნენ მოწაფეები: „რაბი, ვინ შესცოდა, მან თუ მისმა მშობლებმა, ბრმა რომ დაიბადა?“ მიუგო იოსემ: „არც მას შეუცოდავს და არც მის მშობლებს, არამედ, რათა ღვთის საქმენი გამოცხადდეს მასში“.

დიეგო *(გაკვირვებული)*: ანუ?

ჯუზეპე: რაღა ანუ? შენი ავადმყოფობით ღმერთი კი არ ტკბება, მას სურს შენში დაიბადოს!

პაუზა.

დიეგო: შენ ექიმი ხარ თუ თეოლოგი?

ჯუზეპე: Homo sapiens!

დიეგო: ჰმ... უცნაური გამართლებაა...

ჯუზეპე: არაა გამართლება, რეალობაა!..

დიეგო: რეალობა აღქმადი მოვლენაა, ზოგი როგორ აღიქვამს და ზოგი როგორ... (ტკივილი შემოუტევს, თვალს დახუჭავს, სახე მოეჭმუხნება). ოჰ...

ჯუზეპე წამოვარდება და დიეგოსთან მივარდება. მის მარჯვენა ხელს ხელში აიღებს. წამალს ძალით ასმევს.
დავიღალე... დავიღალე, ჯუზეპე...

ჯუზეპე: მესმის...

დიეგო: არაფერიც არ გესმის! (მცირე პაუზა). ჯუზეპე, ერთი სათხოვარი მაქვს...

ჯუზეპე: გისმენ.

დიეგო: გთხოვ, უარს ნუ მეტყვი, რამე დამალევიან ან გამიკეთე და დაასრულე ჩემი წამება, გთხოვ!

ჯუზეპე: სიამოვნებით... (ირონიულად). მაგრამ კანონი კრძალავს...

დიეგო: გთხოვ...

ჯუზეპე: სისულელეებს მოეშვი! ეგო გვერდით გადადე და იბრძოლე! (ჯუზეპე სავარძელში ჯდება. მცირე პაუზა). დაურეკე დოროთეას და უთხარი, რომ ლუკას ერთ გაკვეთილს მაინც მისცემ...

დიეგო: არა!

ჯუზეპე: კი!

დიეგო: არა-მეთქი!

ჯუზეპე: რატომ?

დიეგო: არ შემიძლია თვითადიარებული ბრიყვების ჩხაკუნს ვუსმინო... მართალია, არ ვიცნობ, არასდროს მომისმენია, მაგრამ არ მაინტერესებს! გესმის? არ მაინტერესებს! დარწმუნებული ვარ საშუალო დონისა და საშუალო ნიჭის იქნება... მე კი არასდროს დამითმია „საშუალოებისთვის“ დრო... არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ის ბიოლოგიურად ჩემი დისშვილია! გესმის? (ღელავს). არ მაინტერესებს-მეთქი!

ჯუზეპე გაკვირვებული უსმენს. მცირა პაუზა.

ჯუზეპე (ზაილაპარაკებს): მეცოდები...

დიეგო (გაცეცხლებულად): ნუ ამბობ ამას! არავის შეცოდება არ მჭირდება! მე ვარ მუსიკა! მე გენიოსი ვარ!

ჯუზეპე: იყავი...

დიეგო: არ გაპატიებ!

ჯუზეპე: კეთილი...

პაუზა. ჯუზეპე დგება და ეშვადობება. გადის.

დიეგო (თავისთვის): იქნებ მართალია ჯუზეპე... (სივარეტს გაუკიდებს). იქნებ, მართლა მეშინია... არა! რისი უნდა მეშინოდეს! მე სიცოცხლეშივე გავაუკვდავყვე ჩემი სახელი! ვერავინ და ვერაფერი ვერ შეძლებს ჩემი დიდების ცეცხლის ჩაქრობას! მე ვარ მუსიკა!

თავს სავარძლის საზურგეს მიადებს, თვალს ხუჭავს და იძინებს. ოთახი ბნელდება.

სურათი მეოთხე

დიეგო სავარძელზე ზის, მუხლებზე პლედი აქვს მოხურული, სიგარეტს ეწვა. ოთახი კვლავინდებურად არეულია. კარზე აკაკუნებენ. დიეგო უძრავად, გაყინული მზერით ზის. კვლავ აკაკუნებენ.

დიეგო (წაიზუტბუტებს): ღიაა, შემოდით...

შემოდის ახალგაზრდა დამლაგებელი გოგონა, რომელსაც სპეციალური უნიფორმა აცვია.

დამლაგებელი: მომიტვეთ, დიდ დროს არ წაგართმევთ, მხოლოდ ერთ კითხვას დაგისვამთ: მთელი სახლი უნდა დავალაგო, თუ მხოლოდ ეს ოთახი?

დიეგო: არც სახლი და არც ოთახი...

დამლაგებელი: უკაცრავად, დოქტორმა ჯუზეპემ დამავალა.

დიეგო: ჯუზეპე აქ არ ცხოვრობს, აქ მე ვცხოვრობ.

დამლაგებელი: დიახ, ვიცი... მითხრა წინააღმდეგობას გაგიწევს, მაგრამ არ დაუჯერო. გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, პატივცემულო, დრო არ დამაკარგვინოთ, კიდევ ათას ადგილას მაქვს მისასვლელი. *(წელ-წელა უახლოვდება დიეგოს)*. ძალიან მიჭირს, პატარა ბავშვები მყავს, ქვრივი ვარ, გთხოვთ, ხელს ნუ შემეშლით, ძალიან გთხოვთ...

დიეგო: კეთილი... *(სევდანარევი ხმით)*. რამდენი წლის ბრძანდებით? ჰო, მე მომიტვეთ, მანდილოსნებს არ უყვართ ეს შეკითხვა... სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით...

დამლაგებელი ხელთათმანს იკეთებს და იატაკიდან ქაღალდებისა და ათასგვარი ნაგვის აკრეფვას იწყებს.

დამლაგებელი: არაუშავს... 37 წლის ვარ...

დიეგო: მეუღლე რატომ გარდაიცვალა, ალბათ ისიც ახალგაზრდა იქნებოდა... *(ახალ სიგარეტს გაუკიდებს)*.

დამლაგებელი: როგორ გითხრათ, სამწუხაროდ ნარკოდამოკიდებული იყო და... საჭესთან მიემინა, ისე გაიპარა მარადიულში... *(თან ალაგებს)*.

დიეგო: საწუხაროა... მომიტვეთ... *(ძალიან სედიანდება. მცირე პაუზა)*. თქვენ რა პროფესიის ხართ?

დამლაგებელი: მე ფიზიკოსი ვარ, ბირთვულ ფიზიკაში დავიცავი სადოქტორო დისერტაცია, მაგრამ ჩემი პროფესიით, როგორც შეამჩნიეთ, არ ვმუშაობ...

დიეგო: დოქტორი? ბირთვული ფიზიკა? ქალი? და დამლაგებელი?

დამლაგებელი: ჰო, უცნაურია... მე ჩემი ქმარი ძალიან მიყვარს... როცა მას გავყევი, ამიკრძალა უნივერსიტეტში მუშაობა... ამ ქალაქში გადმოვედით, ჩემი ქმრის მამისეულ სახლში... თვითონ ხელოვნებათმცოდნეა... მის მერე დავიწყე მუშაობა. სკოლაში არ ამიყვანეს და მიწევს დამლაგებლად ვიმუშავო... ბავშვების გამო, ხომ ხვდებით.

დიეგო: არა, თავს ნუ იმართლებთ... როგორ უძლებდით?

დამლაგებელი *(თან ოთახს ალაგებს)*: ვის?

დიეგო: მეუღლეს...

დამლაგებელი: მიყვარს...

დიეგო: უცნაურია...

დამლაგებელი: თქვენ არ გიყვართ?

დიეგო: ვინ?

დამლაგებელი: ვინმე...

პაუზა.

დიეგო: ამ თემაზე არ მიყვარს საუბარი...

დამლაგებელი: მომიტევეთ...

დიეგო: ერთი კითხვა მაქვს, რატომ საუბრობთ თქვენს მეუღლეზე აწმყო დროში, თქვით: „მიყვარს“; „ხელოვნებათმცოდნეა“...

დამლაგებელი: სიყვარულს წარსულის ფორმა არ აქვს, იგი მარად გააწმყოებული მოვლენაა...

დიეგო: არამგონია... *(თავს ხრის).*

დამლაგებელი: მე, როგორც მეცნიერი, ვალდებული ვარ ყველაფერი ეჭვქვეშ დავაყენო, ვაყენებ კიდეც, მაგრამ სიყვარულს არა... მე ის მიყვარს...

დიეგო: მან ხომ ცხოვრება წაგართვათ, კარიერა დაგინგრიათ...

დამლაგებელი: ალბათ გაგიკვირდებათ ფიზიკოსისგან ასეთი პასუხი, მაგრამ ახლა ხომ დამლაგებელი ვარ, ამიტომაც გავკადნიერდები და მოგახსენებთ, რომ ყველაფერი უფლის ნებაა, დავთმე კარიერა, მაგრამ სანაცვლოდ უფალმა შვილები მომცა, ჩემს მომავალს მათში ვხედავ, მათით ვტკბები...

დიეგო: ცოტათი უცნაური დამოკიდებულება გაქვთ...

დამლაგებელი: ალბათ... *(მრავლისმთქმელი ღიმილით იღიმის).*

დიეგო: ვატყობ, რომ ბედნიერი ხართ, რაში ხედავთ ბედნიერებას?

დამლაგებელი: აწმყოში... აწმყოს მომავალში...

დიეგო: უცნაურია...

შემოდის ჯუზეპე.

ჯუზეპე *(დამლაგებელს მიმართავს):* უკვე მოხვედი? *(დიეგოსთან მიდის).* როგორ ხარ, მეგობარო?

დიეგო: არამიშავს...

ჯუზეპე: კეთილი... *(დამლაგებელს მიმართავს).* მალე მორჩები?

დამლაგებელი: დიახ...

დიეგო *(დამლაგებელს):* სადილზე დაგვეწვიეთ...

დამლაგებელი: მადლობა, არა, არ მცალია...

დიეგო: კეთილი...

ჯუზეპე: წამლები დალიე, დიგო?

დიეგო: მგონი კი...

ჯუზეპე: მგონი?

დიეგო: ჰო, დავლიე...

დამლაგებელი: ეს ოთახი დავასუფთავე, სხვაგან არ ყოფილა საჭირო დალაგება, თუ ნებას მომცემთ წავალ...
(*ხელში ნაგვით დატვირთული პარკები უჭირავს, ასევე ცოცხი და იატაკის საწმენდი სპეციალური ხსნარები*).

დიეგო: დიდი მადლობა, დახმარებისთვის...

დამლაგებელი: რას ბრძანებთ, ეს ხომ ჩემი საქმეა, თანაც მე არ გეხმარებით, ამაში გასამრჯელოს მაძლევენ...

დიეგო: უცნაური ადამიანი ხართ...

დამლაგებელი: ალბათ... (*კარისკენ მიდის*).

ჯუზეპე: აბა, დროებით...

დამლაგებელი გადის. მცირე პაუზა.

დიეგო, რა გჭირს? (*იღიმის*).

დიეგო: რა მჭირს?

ჯუზეპე: უცნაურად კეთილი მეჩვენები... მოგეწონა?

დიეგო: სისულელეებს მოეშვი... ჭკვიანი გოგო ჩანს... მეცნიერი ყოფილა, ახლა კი დამლაგებლად მუშაობს, წარმოდგენელია...

ჯუზეპე: წარმოდგენელი არაფერია, მაგრამ სიამაყე გიშლის ხელს...

დიეგო: აჭარბებ...

ჯუზეპე: სულაც არა!

პაუზა. დიეგო სიგარეტს უკიდებს. უფერად მიიმედ დაიწყებს სუნთქვას, ახველებს. ჯუზეპე წამოხტება.

ჯუზეპე: რა დაგემართა? (*სიგარეტს გამოგლეჯს ხელიდან*). ნუ ეწევი! რამდენჯერ გაგაფრთხილო! თავი გადაწიე, მშვიდად... მშვიდად... მშვიდად... უკეთ ხარ? (*მაჯისცემას უმოწმებს*). ჰა?

დიეგო: კი, კი, უკეთ ვარ... ჯუზეპე, დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია...

ჯუზეპე: თავს ისჯი! (*სავარძელზე ჯდება*). ათასჯერ გითხარი, გვერდით გადადე შენი ეგო და დატკბი სიცოცხლით! ამდენი ნერვიულობით იახლოვებ დასასრულს... ვერ დაუკრავ არ ნიშნავს, რომ არ იცოცხლებ!

დიეგო: გეყოფა... ჭრილობაზე მარილს ნუ მაყრი...

ჯუზეპე: მე კი არა თავად იყრი მარილს! ძალიან გულბოროტი ადამიანი ხარ! ამაყი! ამპარტავანი!

დიეგო: გეყოფა!

ჯუზეპე: მე კი არა შენ გეყოფა! გესმის? გასაცოდავდი უკვე...

დიეგო (*ყვირილით ამბობს*): გეყოფა-მეთქი! მე არავის სიბრაღული არ მჭირდება! მე მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული პიანისტი ვარ! მე ვარ მუსიკა! გესმის?

ჯუზეპე: არა, არ მესმის! კი, გენიოსი ხარ! საუკეთესო პიანისტი იყავი, ახლა ვინ ხარ? ვინ?

დიეგო: გეყოფა-მეთქი! (*ყურებზე ხელებს იფარებს*). ჩვენს მეგობრობას გაფიცებ, გთხოვ, გეყოფა!!!

ჯუზეპე: მე კი არა შენ გეყოფა-მეთქი! (*წამოდგება*). გადაყენებული იმპერატორივით ზიხარ ერთ ადგილას და სისულელეებს ლაქლაქებ! არავინ იცის ხვალ რა იქნება: მეტეორი დაგვეჯახება და ის მოგვსპობს, თუ ატომურ ბომბს ჩამოაგდებს რომელიმე შეშლილი! არ ვიცით ხვალინდელ დღეს რომელი ტერორისტი აიფეთქებს თავს და თან გადაგვიყოლებს! ჰო, არ ვიცით ხვალ რა მოხდება! მეტს გეტყვი, ხვალ კი არა დღეს, დღის ბოლოს რა მოხდება არ ვიცით! მარტო მე და შენ კი არა, არავინ იცის! ამიტომაც კეთილი ინებე და დატკბი სიცოცხლით! სასოს ნუ წარიკვეთ! გესმის? მართლა და მართლა გეყოფა უკვე! უკვდავი არავინაა, საერთოდ არავინ! ადამიანები კი არა უდიდესი ცივილიზაციები აღიგავა მიწისაგან პირისა! ადამიანი კი არა ენები კვდება! დამწერლობები მიინაცრნენ! ყველა მეფე, იმპერატორი და დიქტატორი მოკვდა! აწი ვინც იქნება ისინიც მოკვდებიან! შენი მშობლები მოკვდნენ! ჰო, შენც მოკვდები! მეც მოკვდები, მაგრამ, მერწმუნე, ამის გამო დედამიწა არსებობას არ შეეყვებს! ნუ გგონია, რომ დედამიწის ცენტრი შენ ხარ და შენს გარშემო ბრუნავს იგი! ჰო, მტკივნეულია რასაც გეუბნები, მაგრამ ასეა, მერწმუნე, არ ვაჭარბებ, ასეა! შენ კი არა ბახი მოკვდა! მოცარტი მოკვდა! ლისტი მოკვდა! ჰო, მოკვდნენ, მაგრამ შენნაირების წყალობით დღემდე ცოცხლობენ! შენც იცოცხლებ! უამრავი თაობა გაიზრდება შენს ჩანაწერებზე! გესმის? ბახის შენეული ინტერპრეტაცია ოქროს ფირფიტაზეა ჩაწერილი... მე ექიმი ვარ, დიდი არაფერი მესმის მუსიკის, მაგრამ ვიცი რომ დიდი ხარ! ჰო, დიდი ხარ! მაგრამ ნუ მისცემ უფლებას საკუთარ ჩრდილს, რომ გშთანთქას! გესმის? გესმის, დიეგო? დროა ადგი! დროა სიცოცხლე მოისურვილო! დროა!

პაუზა.

ნუ გამიბრაზდები, ხომ იცი, ძალიან მიყვარხარ! (*სავარძელზე ჯდება. სიგარეტს გაუკიდებს*). ახლა, კეთილს ინებებ და დაურეკავ დოროთეას და ეტყვი, რომ ლუკას მასწავლებელი გახდები!

დიეგო (*წამოიყვირებს*): არა და არასოდეს!

ჯუზეპე: ესეიგი ვერაფერი გაიგე რაც გითხარი, სიამაყის კლანჭებქვემ ხარ, დიეგო...

დიეგო: რა სიამაყე დაიჩემე! ვკვდები! ვკვდები! ვკვდები!

ჯუზეპე: მერე რა?

დიეგო: რას ნიშნავს „მერე რა“? დამცინი?

ჯუზეპე: არც პირველი ხარ, ვინც კვდება და მერწმუნე, არც უკანასკნელი ხარ! იცოცხლე აქ და ახლა!

დიეგო: ვერ ვუკრავ! რა აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს? (*ძლივსძლივსდობით წამოდგება, წელში ოდნავ მოხრილია, ხელების დახმარებით მიდის როალოთან და მას ყრდნობა*). ჩემი პიედესტალი ჩემს კუბოდ იქცა! ასეთი ხუმრობა არსებობს: არფას შიშველ მემავს ემახიან, როიალს კი კუბოში ჩასვენებულ ძველ მემავს. სულ ვხარხარებდი ამაზე... ახლა ვეღარ ვიცი, გესმის? მემავის კუბოდ კი არა ჩემს კუბოდ იქცა! და შენ დამცინი და მეუბნები დატკბიო სიცოცხლით! რომელი სიცოცხლით უნდა დავტკბე, რომ მკლავს იმ სიცოცხლით? რომ მაპატარავებს იმ სიცოცხლით? რომ მაყრუებს იმ სიცოცხლით? ჰა? შეხედე ჩემს ხელებს, შეხედე! (*მოხრილ ხელებს აცახცახებს*). შეხედე, არ მოგერიდოს! შეხედე-მეთქი! დატკბი? ეს ხელები ჭეჭა-ქუხილად ედებოდა უჩარჩო სივრცეებს! და შენ მეუბნები, რომ დავტკბე... ჰო, ნამდვილად, უნდა დავტკბე, აბა რა... ჩემი გვირაბის ბოლოს შუქი არ არის, ჯუზეპე, არ არის შუქი, არ არის! (*ყვირის*). არ არის, ეს წყეული შუქი!

ჯუზეპე: არის, დიეგო, არის, მაგრამ სიამაყეს მოჩრდილული აქვს შენთვის თვალები...

დიეგო: დამცინი? (*როიალს ზურგით მიუჯდება*).

ჯუზეპე: ლუკა...

დიეგო: არ გაბედო!

ჯუზეპე: აი, ხომ ხედავ, არ გინდა ნახო გვირაბის ბოლოს მოლიცლიცე შუქი!

დიეგო: ეჰ, ჩემო მეგობარო, შენ მე არ მიცნობ...

ჯუზეპე: პირიქით, ძალიან კარაგდ გიცნობ... *(დგება. მაგიდიდან წამალს აიღებს და აწვდის).* დალიე...

დიეგო: არ მინდა...

ჯუზეპე: დალიე-მეთქი!

დიეგო: არ მინდა-მეთქი!

ჯუზეპე *(ხმამაღლა):* დალიე!

დიეგო ართმევს წამალს და სვამს.

მე ახლა წავალ, ხვალ ვერ მოვალ, თუ რამე მოხდა დამირეკე, ან ჩემს ცოლს დაურეკე, ამსაღამოს სხვა ქალაქში მივდივარ, გამომიძახეს.

დიეგო: კარგი, ჩემო მეგობარო...

ჯუზეპე: აბა შენ იცი! თავს გაუფრთხილდი და იფიქრე იმაზე, რაც გითხარი!

დიეგო: კეთილი...

ჯუზეპე გადის. ჯუზეპეს გასვლისთანავე დეგო პირიდან წამალს გადმოაგდებს.

არა, მეგობარო, არა... ჩემს სიცოცხლეს აზრი არ აქვს! მე ჩემი ცხოვრების ბილიკზე საკუთარი თავი დავკარგე და ვეღარ ვპოულობ! ჰო, დავკარგე! საკუთარი თავი ხელიდან დამისხლტდა!

ოთახი ბნელდება.

სურათი მეხუთე

დიეგო სავრძელზე ზის. ხელებს დაჰყურებს. სიგარეტს გაუკიდებს და სიცარიელეში იყურება, უაზროდ აბოლებს. კარზე კაკუნია. დიეგო კვლავაც სიცარიელეში იყურება. კარზე კვლავ კაკუნია.

დიეგო *(გასძახებს):* შემოდი, ღიაა!

შემოდის სიმონეტა. ხელში სასაჩუქრე პარკი უჭირავს. დიეგო გაქვავებული სახით უყურებს.

სიმონეტა: ვერ მიცანი?

დიეგო: გიცანი... *(აღელვებული).* გიცანი...

სიმონეტა: ნებას მომცემ ჩამოვჯდე?

დიეგო: რა თქმა უნდა, ჩამოვჯექი... *(ადგილიდან არ იძვრის).* ჩამოვჯექი, რა თქმა უნდა...

სიმონეტა: როგორ ხარ? გამხდარი მეჩვენები... *(სავრძელზე ჯდება. სასაჩუქრე ყუთს ქურნალის მაგიდაზე დებს).*

დიეგო: რამდენი წლის წინ მნახე ბოლოს? მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა...

სიმონეტა: ჰო, მართალი ხარ, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, როდესაც ბოლოჯერ მნახე...

დიეგო: ბოლოჯერ ვნახეთ ერთმანეთი...

სიმონეტა: მე წინა წელს გნახე... შენს კონცერტზე ვიყავი... გენიოსი ხარ...

დიეგო *(გაკვირვებით):* რას ვუკრავდი?

სიმონეტა: ჩვენს... *(მცირე პაუზა).* რახმანინოვის მეორე კონცერტს...

დიეგო: მართლა? *(ღელავს. ცქმუტავს).* მოგეწონა?

სიმონეტა: რასაკვირველია! გენიოსი ხარ! სულ მიკვირდა როგორ ახერხებდი მილიონჯერ შესრულებულ ოპუსში ახალი რაღაცები გეპოვნა... მე და ჩემი ქმარ... *(მცირე პაუზა).* მე და მეგობარი ვიყავით, შენს კონცერტზე; ჩემს მეგობარს აკანკალებდა, როდესაც ცეცხლოვან კადენციას ყულფში გააყოფინე თავი და ფერმიმხდალი როიალიდან შროშნების სურნელი აფრქვევინე შენს ჯადოსნურ თითებს...

დიეგო: ჰო...

სიმონეტა: რაღაც უგუნებოდ მეჩვენები...

დიეგო: საოცარი ადამიანი ხარ... ამდენი წლის შემდეგ მოხვედი და შენი აზრით გახარებული ვიქნები?

სიმონეტა: არ დაგვიწყნია?

დიეგო: რა უნდა დამავიწყდეს? ლალატი?

სიმონეტა: მე არ მიღალატია...

დიეგო *(სევდანარევი ირონიით):* ჰო, რა თქმა უნდა, მე გიღალატე...

სიმონეტა: არა, არა... *(მცირე პაუზა).* არ მინდა ამაზე საუბარი...

დიეგო: აბა რაზე უნდა ვისაუბროთ?

სიმონეტა: გთხოვ, დიეგო, დაივიწყე...

დიეგო: ჩემი სახელი გახსოვს?

სიმონეტა: ნუ სულელობ!

დიეგო: რა თქმა უნდა, მე ვსულელობ... *(უკიდებს ახალ სიგარეტს. მცირე პაუზა).* სჯობდა არ მოსულიყავი...

სიმონეტა: მეგონა გაგიხარდებოდა ჩემი ნახვა...

დიეგო: სულ ტყუილად გეგონა...

სიმონეტა: ისევ ბრაზობ?

დიეგო: არა! არ ვბრაზობ! არ ხარ ჩემი სიბრაზის ღირსი! *(თვალიდან ცრემლი მოსწყდება).*

სიმონეტა: ჰო, მართალია, სულ არ შეცვლილხარ!

დიეგო: არც შენ! *(თვალს არიდებს სიმონეტას).*

პაუზა.

სიმონეტა: ვიცი, რომ ცოლი არ მოგიყვანია... *(სევდიანი ხმით).* არავინ შეგყვარებია?

დიეგო: არა... *(ჩურჩულით ჩაიბურღლუნებს).* მე დღემდე ის მიყვარს!

სიმონეტა: რა თქვი?

დიეგო *(აღელვებულიად):* ჰო, მე დღემდე ის მიყვარს... სამწუხაროდ...

სიმონეტა *(გაკვირვებულად):* ვინ ის?

პაუზა.

დიეგო: ის, რომელმაც მიღალატა! ის, რომელმაც ჩააქრო ჩემი ცეცხლი!

სიმონეტა *(წამოდგება):* დიეგო, ამაზე ჩვენ წლების წინ ვილაპარაკეთ და მოვგვარდით!

დიეგო: არ მოვგვარებულვართ!

სიმონეტა: კი, მოვგვარდით!

დიეგო: არა! არა-მეთქი! *(წამოიყვირებს).* შენ მე მიღალატე! მე კი არა სიყვარულს უღალატე! სამუსიკო სკოლის პირველი კლასიდან ერთმანეთი გვიყვარდა... 15 წელზე მეტხანს ერთად ვიყავით! ბავშვობის წლებიც ერთად გამოვიარეთ! კონსერვატორიაშიც ერთად ჩავირიცხეთ! ჩვენ ერთმანეთის სუნთქვით ვსუნთქავდით! ერთმანეთის გულისცემით სცემდა ჩვენი გულებიც! ერთმანეთის სურნელი გვათრობდა! ჩვენ ერთმანეთისთვის ვუკრავდით! ერთმანეთის ცრემლებით ვტიროდით! ერთმანეთის ღიმილით ვიღიმოდით! *(ცრემლები წასკდება).* მერე კი... მერე კი ერთი ხელის მოსმით ყველაფერი დაანგრე! ღამით გაიპარე და გათხოვდი! თან ვის გაჰყევი? თავმომწონე იდიოტს! ყოვლად უნიჭოს, უვიცს!

სიმონეტა გაქვავებული სახით უსმენს დიეგოს. ცოტახნის შემდეგ სავარძელზე ვარდება, თავს ხრის და უსმენს.

შენ მე დამანგრე! გესმის? ფეხვეშ გათელე ჩვენი სიყვარული... *(მცირე პაუზა).* იქნებ მეჩვენებოდა, რომ გიყვარდი? ჰო, ნამდვილად მეჩვენებოდა! აბა, როგორ შეგეძლო ერთი ხელის მოსმით დაგელეწა 15 წლიანი ურთიერთობა? მატყუებდი! მატყუარა ხარ! ჰო, მატყუარა ხარ! სამწუხაროდ არ მაქვს ლექსიკონში ნეგატიური სიტყვების წყება, რომლითაც შენს შეფასებას შევძლებ!.. ახლა კი ისე გამომეცხადე, თითქოს არაფერი მომხდარა! რა უნდა დავარქვა ამ საქციელს? *(მცირე პაუზა).* კმაყოფილი ხარ? ბედნიერი ხარ? თუ შენი ეგოს დასაკმაყოფილებლად და გამოსაკვებად მოხვედი, მაშინ გილოცავ, შენ ეს შეძელი და გამანადგურე, შემამულე ყველა და ყოველი! გილოცავ! შეგიძლია თავაწეულად გახვიდე!

პაუზა.

სიმონეტა: თურმე ვცდებოდი... არაფერი კი არა, ბევრი რამ შეცვლილა! მეხსიერების პრობლემა გაქვს? ყველაფერი ისე დაგილაგებია, რომ მე გამამტყუნო! არა, დიეგო, არა! ყველაფერი ასე არ იყო! *(თვალეზიდან ცრემლს იწმენდს).* მე მთელი ჩემი არსებით მიყვარდი! გულწრფელად გეუბნები, მთელი ჩემი არსებით! ვიცი, რომ შენც ასეთივე ძალით გიყვარდი, მაგრამ რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო ღრმად ეშვებოდი მუსიკაში და შორდებოდი ყველაფერ მიწიერს! საკუთარმა თავმა შეგიპყრო! ნელ-ნელა გაფერმკრთალდა შენს ირგვლივ სამყარო, მხოლოდ მუსიკას იწვევდი დუელში, მხოლოდ მუსიკა მიგაჩნდა საკუთარი თავის სადარად! სხვა ყველაფერი მიმქრალდა შენთვის! ნელ-ნელა მეც მომიშორე, თავს მარიდებდი, არ მხვდებოდი, შენთან რომ მოვდიოდი, ახლა არ მცალიაო მეტყობდი და კართან ატუზულს უკან მიმაბრუნებდი. *(წამოდგება).* გაიხენე? სიყვარულს, სასიცოცხლოდ, ენერგია სჭირდება! შენ ამ ენერგიით არ კვებავდი ჩემს შენდამი გრძნობას! პირიქით, სულს უბერავდი და ნაცარს აყრიდი სიყვარულის ცეცხლს! *(აქეთ-იქით იწყებს სიარულს).* შენ, საკუთარი ეგოს მწვერვალზე ახვედი და იქ ტახტი დაიდგი! იქიდან არც ჩამოსულხარ! ყველა და ყველაფერი უარყავი! საკუთარი მამის გარდაცვალება რომ გაცნობეს, დაკრძალვაზეც კი არ წახვედი! *(მცირე პაუზა).* უარმყავი! გამექეცი! და ახლა მე მაბრალე ყველაფერს? ყოჩაღ! ეს მე კი არა, შენ კვებავ შენს ეგოს! მართალია, ვაღიარებ, გენიოსი ხარ! მაგრამ, ამავედროულად, ძალიან ცუდი ადამიანი ხარ, დიეგო, ძალიან ცუდი! ამაყი, ქედმაღალი, ეგოცენტრისტი! მიკვირს,

გეფიცები, მართლა მიკვირს, როგორ ახერხებ ასეთი გულქვა ადამიანი, ასეთი უმაღლესი სულიერი მწვერვალების მოთარაშებას და მუსიკის სიღრმიდან ღვთიური სულიერების ამოქაჩვას! მართლა მიკვირს!

დიეგო თავდახრილი ზის. სიმონეტა ბოლთას სცემს, ნერვიულობს.

ეს მე უნდა მკითხო, როგორ გავმელი! ეს შენ გათელე ჩემი სიყვარული! ეს შენ გამანადგურე! ეს შენ მიღალატე! ეს შენ... შენ... დიეგო!!!

სიმონეტა სავარძელზე ჯდება. სიჩუმე. პაუზა.

დიეგო: რასაც შენ ამბობ, ყველაფერი ტყუილია, სიმონეტა...

სიმონეტა: სხვაგვარ პასუხს შენგან არც ველოდი!

დიეგო: მაშინ რისთვის მოხვედი ჩემთან, თანაც ამდენი წლის მერე?

მცირე პაუზა. სიმონეტა სევდიანდება.

სიმონეტა: გახსოვს, მეხუთე-მეექვსე კლასში ვიყავით, მუსიკის თეორიის გაკვეთილიდან გავიქციეთ და ღვთისმშობლის სახელობის კათედრალში წავედით... იქ, თურმე, სამგლოვიარო მესა სრულდებოდა... გახსოვს, მაშინ ერთმანეთს, საკურთხევლის წინ, პირობა მივეცით, ჩვენს შორის ვინც პირველი მოკვდებოდა, მეორე მის დაკრძალვაზე დაუკრავდა...

დიეგო (ირონიულად): ემზადები?

სიმონეტა: რისთვის?

დიეგო: დასაკრავად...

სიმონეტა: არა... *(მცირე პაუზა).* მე არა...

დიეგო: მაშინ, რისთვის მოხვედი? რომ დარწმუნებულიყავი?

სიმონეტა: რაში უნდა დავრწმუნებულიყავი? ქარაგმებით ნუ მელაპარაკები, დიეგო, გთხოვ...

დიეგო: მართლა ვკვდები თუ არა...

სიმონეტა: სისულელეებს მოეშვი! კარგად მომისმინე, პირობა ხომ გახსოვს?

დიეგო: ეგ ბავშვობის სისულელე იყო!

სიმონეტა: რა სისულელეც არ უნდა ყოფილიყო, საკურთხევლის წინ გულმხურვალედ დავდეთ ფიცი!

დიეგო: არანაირი ფიცი არ არსებობს!

სიმონეტა: არა, დიეგო, არსებობს! გთხოვ, გაიხსენე!

დიეგო (გაცეცხლებულად): და რა ჯანდაბა გინდა ჩემგან? დაგიტასტურო, რომ ჰო, ვკვდები, მოემზადე დასაკრავად-მეთქი?!

სიმონეტა: ხომ გითხარი, სისულელეებს მოეშვი-მეთქი! ხანდახან ეგოც უნდა მოასვენო! იმ დღეს, როდესაც ეს ფიცი დავდეთ, გახსოვს სონეტი დამიწერე: და ჩემი სულის ფიცარნაგზე ჰყვავის შროშანი,

ამეზმანება შენი თმების ნაზი სურნელი,

ვერ ვუმკლავდები, ტკივილი მხრავს განუკურნელი

და ვერ ვეწევი, შენი ჰანგის გზაი შორს არი.

სევდანარევი თვალებით უმზერს დიეგო სიმონეტას.

ჰა, ვდგავარ შენს წინ, ცარიელი, მუხლმოდრეკილი

და ველი შენგან ნაწყალობევ ამბორისყოფას,

მე მზად არა ვარ მივეჩვიო ასეთგვარ ყოფას,

ჰო, ვდგავარ შენს წინ, უსასრულოდ ცრემლმოფენილი.

დიეგო: გთხოვ, ჩამეხუტე, ერთხელ მაინც მკერდზე მიმიკარ,

შემასვი შენი ბაგეების ტკბილი სამსალა,

კოცნამ, შენქმნილმა, მოჟამული გაალამაზა,

და შემრჩა შენგან მოცელილი მკვდარი მიმიკა.

ორივენი: ჰო, ვდგავარ შენს წინ, ცარიელი, მუხლმოდრეკილი

და ველოდები წმინდა ამბორს, ცრემლმოფენილი.

პაუზა.

დიეგო: გამიხარდა, რომ გახსოვს...

სიმონეტა: რა დამავიწყებს...

პაუზა.

ჰო, მომისმინე... ძალიან მიჭირს ამის თქმა... დღეს, სპეციალურად ჩამოვფრინდი, რათა მენახე... თან ვერ წავიღებდი... ერთმანეთის სიყვარულის წინაშე დადებული დათქმა ხომ გაგახსენდა? ჰოდა... *(მცირე პაუზა).* უნდა მოემზადო...

დიეგო: რისთვის? სიკვდილისათვის?..

სიმონეტა: ჰო...

დიეგო: შენ საიდან გაიგე?

სიმონეტა: რა?

დიეგო: ჩემი ამბავი...

სიმონეტა: რა შენი ამბავი? დიეგო, ერთი თვის სიცოცხლეც კი აღარ დამრჩა.

დიეგოს სახე გაუქვავდა. სიმონეტა თავდახრილი ზის. მცირე პაუზა.

მეოთხე სტადიის ავთვისებიანი სიმსივნე მაქვს... გთხოვ, დიეგო, ძველ სიმონეტას გაფიცებ, იმ სიმონეტას, რომელიც გიყვარდა, გთხოვ, აღასრულე ჩვენი ფიცი, გთხოვ...

პაუზა.

დიეგო: ხუმრობ?

სიმონეტა: სამწუხაროდ, არა...

პაუზა.

დიეგო: არ შემიძლია. *(სივარეტს გაუკიდებს).*

სიმონეტა: გთხოვ, დიეგო! გთხოვ...

დიეგო: არ შემოიძლია... *(ცრემლები სდის)*.

სიმონეტა: დიეგო, გთხოვ!

პაუზა.

დიეგო: მე აღარ... აღარ... მე ვეღარ ვუკრავ...

სიმონეტა: დიეგო, ხუმრობის თავი გაქვს?

დიეგო: არ ვხუმრობ, სამწუხაროდ...

სიმონეტა საათს დახედავს. წამოდგება. იქით-აქით გაივლ-გამოივლის მთელს ოთახში.

სიმონეტა: დიეგო, ძალიან გთხოვ! ისევ ეგოს მწვერვალზე ხარ! გთხოვ, განკაცდი! გთხოვ! ჩემს თავს გაფიცებ! ძველ სიმონეტას გაფიცებ! *(მცირე პაუზა)*. მუსიკას გაფიცებ!

პაუზა. დიეგო ნელ-ნელა წამოდგება. სიმონეტა გაკვირვებული უყურებს.

დიეგო: მე... სიმონეტა... მე... მე ვეღარ ვუკრავ... *(ხელებს უჩვენებს)*. კუნთების განლევა მაქვს...

სიმონეტა: დიეგო! *(თვალეში გაუფართოვდება და მიეჭრება დიეგოს. ეხუტება. თან გაჰყვირის)*. დიეგო! ეს რა დაგმართნია, ჩემო!

დიეგო: გთხოვ, ჩუმად! მე არ მჭირდება შეცოდება! *(ძლივსძლივსლაობით ჯდება)*.

პაუზა. სიმონეტა თავზე ისვამს ხელებს. ბოლთას სცემს. დიეგოს სიგარეტს გამოართმევს და გაუკიდებს. ჯდება.

სიმონეტა: შენ დიდხანს იცოცხლებ, დიეგო! *(ვეღარ უყურებს დიეგოს. სახე ეჭმუხნება, ცრემლები სდის)*. ახლა ჩემი წასვლის დროა! გთხოვ, შემისრულე დანაპირები! გთხოვ!

თვალეზაცრემლებული სიმონეტა მიეახლება დიეგოს, წელში ოდნავ მოიხრება და ხელზე კოცნის. კოცნას უტოვებს და გადის ალღევებული და აცრემლებული. დიეგო უჩუმრად ზის. ცრემლები წასკდება და თავისთვის ბუტბუტებს:

დიეგო: მე მხოლოდ საკუთარი თავის მშურდა, რადგან ჩემი თვალების მღვრიე დარაბებში შენი თვალების სხივი მბჟუტავად შემოდიოდა. ჰო, მე მხოლოდ საკუთარი თავის მშურდა, რადგან გხედავდი, რადგან შენი სურნელით თრობა შემემლო. ჰო, მე მხოლოდ საკუთარი თავის მშურდა. ახლა უფრო მეტად მშურს, რადგან ვერ გხედავ და ვგრძნობ რომ ბუდეაყრილი ჩვილი ბელურას სუნთქვასავით ვმარცხდები საკუთარი ბედაყრილი მოგონებების წინაშე. შენ მე მომშხამე შენი უღვთო სილამაზით, გულში ეშმათა კარავი ჩამიდგი და ახლა ისე განეშორე ჩემი თვალების პირნაკლ ჰორიზონტს, რომ ვეღარც ვხედავ ჩემი ჩამპალი ხორხიდან ამოვთქვა შენი წმინდა სახელი. ამიტომაც ვზი და ვდუმ. ვდუმ და ვზი, ირგვლივ ცრემლების ვრცელი ტბა მიდგას, შენი სურნელით მიმოცვარული. ჰო, მე მხოლოდ საკუთარი თავის მშურდა და ახლა მშურს კი არა ისეთი ძალით მძულს, რომ შეიძლება ყელში წავუჭირო და მოვახრჩო, ან ოდესღაც შენი მნახველი თვალეზი ამოვკორტნო მშიერი სვავით, ან ყური წავიჭრა და შენი სუნთქვის ხმის მონად ვაქციო! ჰო, მე მხოლოდ საკუთარი თავის მშურდა! შენი თმების ლანდში მინდა ჩავძვრე და მერე ღიღილოსავით ვიფეთქო! გთხოვ, ჩემი მუხლის ძვლებისგან გამოთალე საარათითო ბეჭედი და ყელზე შეიბი, როგორც სიმბოლო გამოუთქმელი სიყვარულისა! გთხოვ, ჩემი სისხლით მორწყე შენი სულის მიწურზე მოკამკამე მინდვრის ყვავილები! გთხოვ, ჩემი ხორციტ გამოკვებე შენში მსუნთქავი მხეცი! გთხოვ! ჰო, მე მხოლოდ საკუთარი თავის მშურდა და ახლა ისიც დავკარგე, ვეღარც შენ გხედავ და ვეღარც საკუთარ თავს! როდესაც სარკეში ვიყურები, ჩემს წინ გაფერმკრთალებული შენალანდის ვიწრო ბილიკი მოსჩანს, ეს-ესაა შევამტვრიო და მასში შევიდე! ჰო, მე მხოლოდ საკუთარი თავის მშურდა... *(მცირე პაუზა)*. ახლა აღარც მუსიკა მყავს, აღარც შენ და... აღარც საკუთარი თავი...

დიეგო ძლივსძლივსლაობით წამოდგება და ჟურნალის მაგიდიდან აიღებს სასაჩუქრე პარკს, გახნის. სასაჩუქრე პარკში დევს იოჰან სებასტიან ბახის კარგად ტემპერირებული კლავირის ორტომეული, რომელიც დიეგოს ეკუთვნოდა. წიგნი დაფლეთილია. დიეგო იქვე ჩამოჯდება და წიგნს ათვალიერებს.

ჩვენი წიგნი... ჩემი და სიმონეტას წიგნი... იოჰან სებასტიან ბახი... კარგად ტემპერირებული კლავირი... პირველი და მეორე ტომი... თურმე ინახავდა... ამდენი წელი ინახავდა ამ წიგნს... სიმონეტა... ჩემი სიმონეტა...

რეკავს ტელეფონი. რამდენიმე წამის შემდეგ ყურმილს იღებს.

არა! არა და არასოდეს! (თითქმის ყვირილით). ნუ დამირეკავთ მეორეჯერ! (მცირე პაუზა. ათვალიერებს წიგნს). სიმონეტა... როგორ შეიძლება ჩემზე ადრე ის მოკვდეს... სიმონეტა... ჩემი სიმონეტა... ჩემი ერთადერთი სიყვარული! ჩემი მარადიული სიყვარული! ჩემი ტკივილი! ჩემი ჭრილობა! ჩემი სიკვდილი და დაბადება! ჩემი... ჩემი მუსიკა... ჩემი ჯვარცმა და ჩემი გარდამოხსნა...

ძლივსძლივსლაობით წამოიზღაზნება და გადის.

სურათი მეექვსე

შემოდის საკონცერტო ფორმაში გამოწყობილი დიეგო; აცვია შავი ფრაკი, თეთრი პერანგი. მიეახლება მაგიდას და ააყირავებს. სავარძლებსაც აქეთ-იქთ გადაქაჩავს. ყველაფერს ძირს ყრის. განრისხებულივით ბოლთას სცემს, ცენტრს გაათავისუფლებს და კუთხეში მიდგომულ როიალს ცენტრამდე მოათრევს. როიალის თავზე დაწყობილ წიგნებს ხელს ჰკრავს და ძირს დაყრის. აიღებს სიმონეტას მოტანილ ი. ს. ბახის კარგად ტემპერირებული კლავირის მეორე ტომს, მიუჯდება როიალს, ნოტებს პიუპიტრზე დადებს და გადაშლის ფა-მინორულ პრელუდიას. გაიკეთებს სათვალეს. მარჯვენა ფეხს პედალს დაადებს, ღრმად ჩაისუნთქავს და დაკვრას იწყებს. უკრავს ძალიან ნელა, შეცდომებით, ჭუჭყიანი ბგერები იზნევა მთელს სცენაზე, ხელებს ძლივსძლივსლაობით ამოძრავებს, რიტმულადაც არასწორად ასრულებს, მაგრამ არ ჩერდება, ბოლომდე ასრულებს, მიუხედავად საშინელი ტკივილისა და საშინელი ჭუჭყისა. ტირის. როგორც კი დაასრულებს პრელუდიის შესრულებას, ხლებს რამდენიმე წამის განმავლობაში კლავიშებზე ტოვებს. წამოდგება, პიუპიტრიდან ნოტებს აიღებს, პიუპიტრს გადაკეცავს, სათვალეს მოიხსნის და წიგნსა და სათვალეს როიალის კუთხეში დადებს: როიალს თავს დაუხრის და სკამის უკან დადგება, სახით როიალისკენ.

დიეგო: დაცარიელდა ჩემი ჭურჭელი, რომელიც ოდესღაც შენ შეავსე, არსთაგამრიგევ! (თვალეებს ზეაღაპრობს).

ჰო, ახლა ვგდივარ შენს ფერხთით და მოჟამული თვალეებით ზესკნელს გავყურებ, თითქოს იქ მეგულები... მაგრამ ორივემ კარგად ვუწყით, რომ იქ შენ არ ხარ! იქ შენ არა ხარ! (მცირე პაუზა). ზეაჟრჟოლილი, აღტაცებით მოციმციმე ჩემი ვარსკვლავი მიიცრემლება უვრცეს ცარგვალზე, როგორც ჩემი არდაბადებული პირმშოს არდარწეული აკვანი! ჰო, ვგდივარ შენს ფერხთით ყოვლადუმწეოდ და შეგლადებ გარდამოავლინო ჩემზე ძალი, რათა კვლავ დავუკრა შენთვის... (სკამზე ადის). აჰა, აღზევდა ჩემი სულის მიმწუხრის ჟამი... რეკენ ზარები ჩემი სულის წარხდომის მომგლოვიარედ... დაემზენ ჩემის დიდების შავი ფარდები! (კლავიშებზე ადგამს ფეხს. მცირე პაუზა). ცეცხლისმოუნელებლისფერი, ნაპარტახალი სული შენს ფერხთით გდია, ყოვლადმლიერო, ყოვლადუმწეოდ!.. ჰო, ვგდივარ და ვტირი!.. ჩემი ცრემლები გზას მიიკვლევენ ქვესკნელისაკენ... (ადის როიალზე. მცირე პაუზა). ჰო, უჯვარცმოდ ვკვდები ჯვარცმული ქრისტეს ასაკში!.. მივმქრალდი, როგორც ნაზად მობერილი ბერწი სიო... დაიცალა ჩემი ჭურჭელი, განილია განსალეველი... აჰა, ქრებიან ჩემი ბრწყინვალეების შარავანდები... (მცირე პაუზა).

ყოვლადკეთილი კი არა გულბოროტი ხარ, არც კი მკითხე ისე შეავსე შენი ჰანგებით ჩემი ჭურჭელი და ახლა ისე დაცალე, რომ არც შემეკითხე! ჰო, გულბოროტი და გულსასტიკი ხარ, შენ, უფალო!.. (მცირე პაუზა).
ო, მომიტევე, მე ჩემი რისხვა ქონდაქარების ბუდიდან შობილი...
ო, მომიტევე, თავნება გზნება!.. მომეზმანე და მომეთვალისე, მწეო ყოვლისა...
ო, მომიტევე, გთხოვ, მომიტევე, უფალო! გთხოვ, მომიტევე! გვედრი, მოილე მოწყალება და მომიტევე!

პაუზა.

ზემოდან თოკი ჩამოეშვება. აკანკალებული ხელით ყულოფისმაგვარ ნასკვს გააკეთებს.

ქვეშეცნეული გრძნეულებით მივმქრალდი. ზემეცნეული განცდით გარდავეგე მიცრემლებულ გზაწვრილს. აჰა, აღიმართა ჩემს წინ, ჩემი ნაცეცხლარი და ნაპარტახალი სულის მიმწუხრის ჟამი. პირქვედამხობილი ვგდივარ შენს ფერხთით, ყოვლადძლიერო არსთაგამრიგევ და ველოდები გარდამოვლენილ შენგან წყალობას...

პაუზა.

ყულოფში გაჰყოფს თავს.

მსჯავრისმდებელო ჟამისმწერალო, აღასრულე შენგნით შობილი ბრძანებულება!..

პაუზა.

ყულოფში თავგაყოფილი დგას ერთხანს. უცებ მოიძრობს ყულოფს, ჯიბიდან ამოიღებს ტელეფონს, კრეფს ნომერს და რეკავს.

ალო... ლუკა მოვიდეს... გაკვეთილს ჩავუტარებ...

ფარდა